Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება საგადასახადო კოდექსში

- 2022 წლის 23 ივნისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და კოდექსს გარდამავალ დებულებებში დაემატა 115[1] ნაწილი. აღნიშნული ცვლილებით ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება კოდექსით 2022 წელს არის გათვალისწინებული, თავისუფლდება შემდეგ საქმიანობებში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა):

  ა) სასტუმროების და განთავსების მსგავსი საშუალებების ან/და დასასვენებელის და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

  ბ) რესტორნების და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

  გ) სასმელებით მომსახურების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

  დ) ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების და მათთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

  საგადასახადო შეღავათი ვრცელდება ასევე იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება ზემოთ დასახელებულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.

  აღსანიშნავია, რომ საწარმო/ორგანიზაცია არ თავისუფლდება ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელის სახით გადახდისგან და ეს გადასახდელი გადაიხდევინება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, მიუხედავად ზემოთ დასახელებული საგადასახადო შეღავათისა, არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.

  ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

  ცვლილების შედეგად, ტურისტულ სექტორში (ასევე მასთან გათანაბრებულ სექტორში) დასაქმებული მეწარმე სუბიექტები გათავისუფლდნენ 2021 წლის ქონების გადასახადისაგან. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე გადასახადის გადამხდელებს შეუმცირდებათ საგადასახადო ვალდებულება ქონების გადასახადის ნაწილში. შეღავათით სარგებლობის მიზნით, გადასახადის გადამხდელები წარმოადგენენ ქონების გადასახადის ყოველწლიურ დეკლარაციას (მათ შორის, საწარმოები/ორგანიზაციები - დაზუსტებულ დეკლარაციას), სადაც აისახება დაბეგვრისგან გათავისუფლებული შესაბამისი ქონება. **ცვლილების მიუხედავად ადმინისტრირების დეტალები აღნიშნულთან დაკავშირებით გაწერილი არ არის.**

- საგადასახადო კოდექსში, 2022 წლის 9 ივნისს განხორციელებული ცვლილებით, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დაზუსტდა ფიზიკური პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 3000 ლარამდე შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ პირთა კატეგორია, კერძოდ ნაცვლად „მარტოხელა დედისა“, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლებამოსილება მიენიჭა „მარტოხელა მშობელს.“ აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ტერმინოლოგიური ცვლილებით იყო განპირობებული.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2022 წლის 15 ივნისს ინიცირებული ცვლილებით, 2023 წლის 1 იანვრიდან იგეგმება ფინანსური ინსტიტუტებისთვის ვალდებულების დაკისრება, რათა მათ აწარმოონ ანგარიშგების საერთო სტანდარტით (CRS) დადგენილი სათანადო პროცედურები და ამავე სტანდარტით და ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული წესების დაცვით უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება შემოსავლების სამსახურისათვის, 2024 წლის

პირველი იანვრიდან, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 30 ივნისისა.
კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტი შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით. 2011 წელს საქართველო გახდა გლობალური ფორუმის წევრი და იკისრა საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ერთ-ერთ ასეთ სტანდარტს წარმოადგენს ანგარიშგების საერთო სტანდარტი (CRS), რომელიც დიდი ოცეულის მოთხოვნის საფუძველზე 2014 წლის 15 ივლისს დამტკიცდა OECD-ს მიერ. სტანდარტის თანახმად, იურისდიქციებმა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული ინფორმაცია წელიწადში ერთხელ ავტომატურ რეჟიმში უნდა გაცვალონ სხვა იურისდიქციებთან. ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის მიზანია, საგადასახადო გამჭვირვალობისა და კანონშესაბამისობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, გლობალიზაციის პირობებში სხვა იურისდიქციებში გადასახადებისთვის თავის არიდების შესაძლებლობების ზრდაზე საპასუხოდ.
კანონპროექტი ითვალისწინებს შესაბამის სანქციებსაც ფინანსური ინსტიტუტის მიერ მასზე დაკისრებული ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. კერძოდ სანქციის ზღვარი იმერყევებს 5 000 -დან 150 000 ლარამდე.
დაგეგმილია რომ ცვლილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შეტანილი ცვლილება

2022 წლის 21 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებით, მიმდინარე წლის 01 ივლისიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია შესაძლებელი იქნება ავტომატურად, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, კერძოდ აღნიშნული პირები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული პორტალის შექმნისთვის დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიიღებენ ინფორმაციას შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (eservices.rs.ge) მომხმარებლისა და პაროლის შესახებ.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების განსაზღვრის წესი

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის #300 დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების განსაზღვრის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სახელმწიფოსა და სახელმწიფო ქონების შემძენს შორის დადებული ხელშეკრულებით საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის გაუქმების შემთხვევაში სანაცვლო ანაზღაურების ოდენობას, პირობის შესრულების ვადის გაზრდისთვის გადასახდელი ოდენობის გამოანგარიშების წესს, აგრეთვე ანაზღაურების განსაზღვრის საკითხებს პრივატიზებული/საკუთრებაში გადაცემული სახელმწიფო ქონების ნაწილის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში.

ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2022 წლის 9 ივნისს განხორციელებული ცვლილებით დაზუსტდა მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმები.

მარტოხელა მშობლის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების დამატებით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებსაც შეეძლებათ საგადასახადო შეღავათებით და სხვა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებით სარგებლობა.

შესაბამისი ცვლილების შესახებ მეტი ინფორმაცია მოცემულია ჩვენს მაისის თვის საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვაში.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.